ლეკვი თოფურიძე პირადი ფონდი

46 262

287 1 262

287 1 262

დამუშავებულია 17.01.25 18

# დიდი, მძლავრი კერა

საქართველოს დედაქალაქთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა კულტურული ცხოვრება და რასაკვირველია ოსი ხალხისაც, რომლებიც ქართველებთან საუკუნეთა წიაღიდან მომდინარე ძმობითა და მეგობრობით არიან შეფიცულნი. თავის დროზე თბილისის სასულიერო სემინარიაში განათლება მიიღეს ი. იალღუზიძემ, ა. კოლიევმა, გ. ჩოჩიშვილმა (ლიახველი) და სხვებმა. ქართულ განათლებამიღებული ი. იალღუზიძე გახდა ოსური დამწერლობის შემქმნელი, მანვე ქართულად დაწერილ პოემაში „იალღუზიანი“ ხოტბა შეასხა ოსთა სიმამაცეს. თბილისის სასულიერო სემინარიის სხვა კურსდამთავრებულთაგან ა. კოლიევი ითვლება პირველ ოს განმანათლებლად, ხ. მამიტოვი — სახკოლო სახელმძღვანელოების ავტორად, გიორგი ჩოჩიშვილი (ლიახველი) საქართველოს პრესაში დაბეჭდილი ოსთა ცხოვრების ამსახველი ბევრი მახალის ავტორია, ზურაბ ჯიოევმა მიზნად დაისახა სწავლა-განათლების შუქბანა ჯაველთა შორის. მანვე თავის სამ ვაჟიშვილს სახშუალო განათლება თბილისში მიაღებინა, ხოლო მისმა შვილიშვილმა რევოლუციონერმა გიორგი ცაგოლოვმა პაპის დაბმარებით ბევრი თბილისელი მეგობარი შეიძინა. ვასილ ცოცოევმა კი დანიელ ჭონქაძესთან ერთად შეადგინა ოსური ხალხური სიტყვიერების ბევრი მარგალიტი. თბილისთან იყო დაკავშირებული გენიალური კოსტა ხეთაგუროვიც. მის „ირონ ფანდირს“ ერთ-ერთი პირველი საქართველო მიეხალმა. გაზეთმა „ივერიამ“ დაბეჭდა წერილი ბათაურით „მოძრაობა ოსეთში განათლებისაკენ“. წერილის ავტორმა, ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ ალექსანდრე ხახანაშვილმა ხაზოგადოებას აუწყა „ირონ ფანდირის“ განუსაზღვრელი მნიშვნელობა ოსური სამწერლო ენისა და ლიტერატურის განვითარებისათვის. ხახანაშვილით აღსავსე ქართველი პროფესორი წერდა: „ვისაც ეს წმინდა ცნება (სიყვარული და სათნოება) შეუგნია, ამისათვის მეზობლის და თანამოძმის ბედნიერება ხასიხარულოა და მისი მწუხარება სავალალო. ერთი ხასიამოვნო მოძრაობა აღინიშნა ჩვენს მოსაზღვრე ხალხში, რომელთანაც საქართველოს უცხოვრია მრავალი საუკუნე და ეს მოძრაობა გულისხმიერია ჩვენთვისაც, მე მოგახსენებთ ოსების განათლებისაკენ მისწრაფების შესახებ...

წერილის დასახრულს ალექსანდრე ხახანაშვილი აღნიშნავს: „ბატონ ხეთაგუროვს... სურს გადათარგმნოს ავგრეთვე ოსურად „იალღუზიანი“, რომელსაც დაუცავს ოსების ისტორია. ვუსურვოთ ოსებს წარმატება ამ პატიოსან გზაზედ“.

ოსური მხატვრული ლიტერატურის მეხაძირკვლის შესახებ რამდენიმე მნიშვნელოვანი შრომა შექმნეს თბილისელმა მეცნიერებმა, მათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შ. გოზალიშვილის მონოგრაფია „კოსტა ხეთაგუროვი“ და ტ. ხარიშვილის წიგნი „კოსტა ხეთაგუროვის პედაგოგიური შეხედულებანი“.

საქართველოს დედაქალაქში არსებობდა ოსური კულტურულსაგანმანათლებლო ხაზოგადოება „რუხს“ (სინათლე). მისი თაოსნობით გამოიცა გაზეთი „ნოგ ცარდ“ (ახალი ცხოვრება), რომლის რედაქტორმა, პეტრე თედეევმა თბილისში მიიღო განათლება. ამ ხაზოგადოებამ ოსი ახალგაზრდებისათვის გახსნა სკოლები მშობლიურ ენაზე, 1905 წელს კი ჩამოაყალიბა დრამწრე, რომელმაც დადგა ოსური დრამატურგიისა და თეატრის ფუძემდებლის, ხაზოგადო მოღვაწის ელბაზდიყო ბრიტათის ერთმოქმედებიანი კომედია „რუსეთში ნამყოფი“ და მისივე დრამა „სირცხვილს საკვდილი სჯობია“. ამის შემდეგ დედაქალაქში სისტემატურად იდგმებოდა ოსური პიესები, იმართებოდა საღამო-კონცერტები, შეხვედრები მოწინავე ადამიანებთან. ხწორედ ეს დრამწრე გახდა სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის საფუძველი. მას ჩამოყალიბების მეორე წლიდან სათავეში ჩაუდგა ცნობილი მსახიობი ნიკო გოცირიძე.

ოსური საბჭოთა კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთაგან თბილისთან არის დაკავშირებული ალექსანდრე თიბილოვის, ვასილ აბაევის, ვლადიმერ აბაევის, ზაქარია ჭანეევის და სხვების ცხოვრება, საქართველოს დედაქალაქმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ოსური ეროვნული კადრების მომზადებაში. სხვადასხვა დროს თბილისში დაიცვა დისერტაცია არა ერთმა ოსმა მეცნიერმა.

ოსი სამეცნიერო კადრების აღზრდაში, ბევრი პრობლემის მეცნიერულ დამუშავებაში, აკადემიკოს გ. ახვლედიანთან ერთად დიდი წვლილი შეიტანეს და შეაქვთ პროფესორებს ა. თოფურიას, ი. მეგრელიძეს, ტ. ხარიშვილს, ა. ღლონტს, მ. ჩიქოვანს, აკადემიკოსებს გ. ჩიტაიას, შ. ძიძიგურს, საქართველოს სსრ აკადემიის წევრ-კორესპონდენტს გ. ციციშვილს. ჩვენმა მრავალეროვანმა დედაქალაქმა თბილისმა დიდად შეუწყო ხელი ოსური მწერლობის განვითარებას. აქ დაიბადა და განათლება მიიღო ვასო სანაკოევმა. უნივერსიტეტის კედლებში აღიზარდა გიორგი ბესთაუთი — პოეტი, „ვეფხისტყაოსნის“ ოსურად მთარგმნელი, ივანე მაჩაბლის პრემიის ერთ-ერთი პირველი ლაურეატი. ბევრს, ალბათ, ახსოვს მისი ლექსის „მე და გაზაფხული თბილისში“ სტრიქონები: „დედაქალაქს მივეჯაჭვე სიყვარულის თილისმით...“

თბილისს გულით უმღერიან სხვა ოსი პოეტებიც. ი. კავკაზაგმა თავის წიგნს „ჩემი თბილისი“ დაარქვა. ლექსები კი ასეა დახათაურებული: „სიმართლე თბილისზე“, „თბილისი — ძმობის ქალაქი“. საქართველოსა და მისი დედაქალაქის გულწრფელი ხოტბა ჟღერს რევაზ ახვლედიანის ლექსში „საქართველოს ცის ქვეშ ვმღერი“: „ვუმღერ თბილისს, უნაპირო სიყვარულით ვუმღერ...“ — ხმას იმაღლებს პოეტი. „მშობელი დედის ბადალო, გკოცნი სიყვარულით“, ასე ეხმაურება კოლეგას ილია ფილიევი. ანეთივე განწყობილებებია გამოხატული ივანე ცხოვრებოვის, ალექსანდრე ფუხაევის პოეტურ სტრიქონებში.

ოსეთი საქართველოს ისტორიაში ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. მან ბევრი გამოჩენილი მოღვაწე მისცა სამშობლოს.

თბილისისა და მთელი საბჭოეთის მხარდაჭერით დღეს ამაღლებული, გაძლიერებული ხალხთა მეგობრობის ცოცხალი ნიმუშია სამხრეთ ოსეთი, მისი ცენტრი ცხინვალი, მშრომელი ოსი ხალხი, რომელიც მთელ საბჭოეთთან ერთად აშენებს ნათელ მომავალს.

ბ. ცოტნიაშვილი,
სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.

25 ივნისი, 1982 წ.

„ ... “, 147

ები მაყვალა, არტურ, ლევან
აკიები, სიძე ვაჟა ჯინჯიხაძე,
ები ნანა მხეიძე, ინესა კოპა-
შვილი, შვილიშვილები მაია,
, ნინო, გოგა, და ვალენტინა
ოვა, მმები ავთანდილი, გიორ-
რძლები თინა, ოფელია, ძმის-
ები ფრიდონ, ეთერ, თემურ,
ნა ჭახრაკიები იუწყებიან, რომ
დაიცვალა
ო გრიგოლის ასული ჭახრაკია.
შვიდი 27, 28 VI 8 ს., გამოს-
ება 29 VI 5 ს. საირმის ქუჩა,
პუსი 7. ბინა 4.

ელე ნადია, შვილები ვიგენტი,
ინო, ნინო, ვახტანგი, რძლები
ვალა, ლია, სიძეები ჯემალ გე-
კორი, ვაჟა ცოშაია, შვილიშვი-
ი ზურიკო, გია, იაგო, ირაკლი,
რიკო, რუსუდანი, მიშიკო ოჯა-
ით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ბაგრატ იაგორის ძე არჩუაძე.
რძალვა 29 VI 3 ს. გორში, მა-
აძის ქ. № 56.

და ვალენტი, შეუღლე ქეთო,
ლი ლია, შვილიშვილები გოგი-
თემური, და გოგუცა; ეთერი,
ელი გუჯაბიძეები, მერაბ მე-
, ზაზა მაჭარაძე, სიდედრი ვე-
გოგოლაძე, სიძეები ალიკო რო-
აშვილი, ბ. მაჭარაძე, თ. მჭედ-
შვილი ოჯახებით იუწყებიან,
გარდაიცვალა
ინდიკო არჩილის ძე ჭელიძე.
რძალვა 26 VI 5 ს. ბათუმში,
ლსის ქ. № 87.

ი აპოლონ ხვედელიანი, დის-
ები გივი, ნათელა, ელისო ორ-
კიძეები იუწყებიან, რომ გარ-
ვალა
ლია (ბარბალე) გიორგის ასული
ხვედელიანი.
შვიდი 25 VI 8 ს., გამოსვენე-
6 VI 5 ს. ენგელსის ქ. № 46.

მეულღე ივანე, შვილები მურად, შოთა, ჯემალ ქავთარაძეები, რძლები ვენერა წამალაიძე, ლიანა ზედგენიძე, ქეთინო ბიბილაშვილი, შვილიშვილები ვაჟა, თამუნა, შოთა, გულიკო, ზურიკო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ევა (ევგენია) გაბრიელის ასული ბურდული-ქავთარაძე.
დაკრძალვა 27 VI 3 ს. ფასანაურში, სტალინის ქ. № 66.

შვილები ლარისა, ნორა, სიძე შაქრო წამალაშვილი, დები ანა, პელა, ტასო ოჯახებით, ძმისწულები მარო, ლიზა, ანა, სონა, შალვა, მიშა, ვანო, სანდრო, იოსები, კოლა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
სოფიო გიორგის ასული მძეღური-ბერიევა.
პანაშვიდი 27, 28 VI 8 ს., გამოსვენება 29 VI 5 ს. ნ. ვაჩნაძის ქ. № 12.

შვილები ნოდარი, ვაჟა, რძლები ლენა პაპავა, ლარისა ლომინაძე, შვილიშვილები ეთერი, თამარი, ნიკო ,ანტონ ლომინაძეები, ძმა ვალოდია, რძლები ანიკო, ლუბა, ციალა ლომინაძეები, ეთერ ვაშაკიძე ციალა თავამაიშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ნიკოლოზ ნიჟას ძე ლომინაძე.
დაკრძალვა 29 VI 6 ს. ცხემლისხიდში (მახარაძის რ.).

შვილები ნანა, ტაია, გუგა, შვილიშვილები ხათუნა, მამუკა, რუსუდანი, შალვა, და მარგალიტა, სიძეები მ. ერაძე, მ. ტალახაძე, მ. მორჩილაძე, ა. შიუკაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ლუბა მალაქიას ასული ტაბუცაძე-გვიმრაძე.
პანაშვიდი 27, 28 VI 8 ს., გამოსვენება 29 VI 5 ს. ოქტომბრის ქ. № 34 მე-8 კორპუსი (I სადარბაზო).

ომის ვეტერანთა საბჭოთა კომიტეტის თბილისის სექცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გადამდგარი პოლკოვნიკი სკკპ წევრი 1930 წლიდან
ფილიპე ვასილის ძე პლიევი

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აკადემიკოს გრ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ღვაწლმოსილი ექიმი, გამსვლელი ბრიგადის ხელმძღვანელი
გალიანა (ვალია) სტეფანეს ასული ხვთისიაშვილი

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, ქ. თბილისის დ. არაყიშვილის სახელობის I სამუსიკო სასწავლებელი, ა. მიზანდარის სახელობის I სამუსიკო სკოლა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სასწავლებლისა და სკოლის ყოფილი სასწავლო ნაწილის გამგე, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი
ელენე იასონის ასული ჩხენკელი-მაჩალაძე

ძდე მეცნიერული შრომა, მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია მრავალი საკანდიდატო დისერტაცია, არის მრავალი გამოგონების ავტორი. აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. ერთდროულად იყო რამდენიმე სამეცნიერო საბჭოს წევრი, უნივერსიტეტში თავმჯდომარეობდა ხარისხების მინიჭებელ სპეციალიზირებულ საქმეცნიერო საბჭოს, იყო ქიმიის ფაკულტეტის დეკანი, დ. ი. მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს განყოფილების პრეზიდიუმის წევრი.

დიდი ღვაწლი აქვს ქართულ ენაზე ქიმიური სახელმძღვანელოების შექმნის საქმეში. შეადგინა ორგანული ქიმიის პრაქტიკუმი ქართულ ენაზე, თარგმნა და რედაქტორობა გაუწია მრავალ სახელმძღვანელოს ორგანულ ქიმიაში.

უბრალოება და თავმდაბლობა, სისპეტაკე და დიდი ადამიანური სითბო — აი რა ამშვენებდა ა. კახნიაშვილს, როგორც ადამიანს, პიროვნებას.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი მეცნიერი, შესანიშნავი ადამიანი, გულითადი მეგობარი, ენციკლოპედიური ცოდნის მჭონე პედაგოგი, მაგრამ მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგების, მეგობრებისა და აღზრდილების გულში.

**საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დ. ი. მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს განყოფილება, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“.**

99-56-41 რედაქტორის მოადგილის
გებელი მდივნის — 99-93-73, პასუხის-
ნყოფილებები: პარტიული ცხოვ-
მრეწველობისა და ტრანსპორტის —
ნიერებისა და კულტურის — 99-59-92,
ნფორმაციის 93-27-93, წერილების —
ისტის — 99-50-57, განცხადებების —
ის“ სარეკლამო დამატებების: „ცნობის

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29,

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17.

რედაქტორი
ო. იოსელიანი